ევროკავშირი საქართველოსთვის

NETHERLANDS HELSINKI COMMITTEE

Hertie School
Executive Education

GEORGIAN DEMOCRACY INITIATIVE

შეკრებების და მანიფესტაციების მონიტორინგი

შემაჯამებელი ანგარიში

2023

შეკრებების და მანიფესტაციების მონიტორინგი

(შემაჯამებელი ანგარიში)

2023

ავტორი: გია ჩხაიძე

რედაქტირება: ალეკო ცქიტიშვილი, ანა ჯაბაური

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge
ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: www.humanrights.ge
ვებ-საიტი: www.hrc.ge

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი 4

მეთოდოლოგია 5

1. აქტივისტების დაკავებები 6
2. პოლიციელთა არაპროპორციული რაოდენობა..... 9
3. არაიდენტიფიცირებული პოლიციელები..... 13
4. საპროტესტო კარვის გაშლის ხელშეშლის პრაქტიკა.... 15
5. აქციის სპეციალური საშუალებებით დაშლა..... 18
6. აქციის მონაწილეების უსაფრთხოება 21

დასკვნა 24

რეკომენდაციები 26

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში ასახულია თბილისში პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო მოძრაობების და აქტივისტების მიერ ორგანიზებული შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგის ძირითადი მიგნებები. პროექტით - **„ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობის გაძლიერება საქართველოში“**, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები 2023 წლის იანვრიდან დეკემბრამდე პერიოდში დააკვირდნენ 15 საპროტესტო აქციას.[1] აქციების უმეტესი ნაწილი დაიგეგმა სოციალური ქსელის საშუალებით, შესაბამისად, მათ ჰქონდა სპონტანური ხასიათი.

ანგარიშის მიზანია მიმოიხილოს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სარგებლობისას გამოვლენილი დარღვევები, შეაფასოს ისინი სამართლებრივად და გაანალიზოს გამოკვეთილი პრაქტიკული საკითხების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.[2] ადამიანის უფლებათა ცენტრმა, ასევე, შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც საჭიროა მშვიდობიანი შეკრების უფლების ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტები, რომელთა შორისაა: აქციის მონაწილეთა სპეციალური საშუალებების დაშლისას ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევა,

---

[1] 1. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქცია მთავრობის კანცელარიასთან; 2. „ეს არის საქართველო - დიდება გმირებს“ - უკრაინის სოლიდარობის აქცია საქართველოს პარლამენტთან; 3. 7 მარტის აქცია - ,,არა რუსულ კანონს“; 4. 8-9 მარტის საპროტესტო აქცია - ,,არა რუსულ კანონს, გამოდი ღირსების დასაცავად“; 5. „ალტ-ინფოს“ და „კონსერვატიული მოძრაობის“ აქცია-მსვლელობა სააკაძის მოედნიდან რუსთაველის გამზირისაკენ; 6. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქცია - „ერთად ევროპაში“; 7. გია გაჩეჩილაძის („უცნობი“) და ზაზა პაპუაშვილის აქცია - „მოვდივარ - საქართველო უპირველეს ყოვლისა“; 8. აქცია „გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ“; 9. ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქცია; 10. ირაკლი ბებუას სოლიდარობის აქცია; 11. პარტია „ევროპული საქართველოს“ აქცია - „გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ“; 12. თამაზ გინტურის სოლიდარობს აქცია - „ქართველი ხალხი რუსული ბოროტების წინააღმდეგ; 13. საპროტესტო აქცია ეროვნულ ბანკთან; 14. „ჩვენი ხმა ევროპას“ - საქართველოს პრეზიდენტის აქცია ორბელიანის სასახლესთან; 15. ,,დავასრულოთ ბავშვთა ქორწინება“.

2 იხ. აქციების მონიტორინგის შუალედური ანგარიში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/l4f590 [19.12.2023].

აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების უფლებების უგულებელყოფა, პროტესტის გამოხატვის მიზნით, კარვის განთავსების აკრძალვა, აქციის ფასილიტაციის პროცესში არაპროპორციული რაოდენობის და არაიდენტიფიცირებული პოლიციელების მობილიზების ტენდენცია.

მეთოდოლოგია

შეკრებების და მანიფესტაციების მონიტორინგში მონაწილეობდა ადამიანის უფლებათა ცენტრის 2 მონიტორი, რომლებიც დაკვირვების შედეგების საფუძველზე ამზადებდნენ მონიტორების ანგარიშებს. განვითარებული მოვლენების დოკუმენტირებისთვის თითოეული აქციის ანგარიშს თან ერთვოდა ფაქტების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აქციებს აკვირდებოდნენ ქალაქ თბილისში, უშუალოდ მათი მსვლელობის ადგილებზე. დაანონსებული აქციების დროისა და ადგილის შესახებ, მონიტორები ინფორმაციას იღებდნენ სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის - სოციალური ქსელიდან - Facebook-იდან, სადაც აქციის ორგანიზატორები წინასწარ აქვეყნებდნენ ინფორმაციას.

ანგარიში ეხება ისეთ შეკრებებსაც, რომელსაც ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები უშუალოდ არ აკვირდებოდნენ. ასეთია: პრაიდ ფესტივალი, რომელსაც ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები, უსაფრთხოების ნორმების დაუცველობისა და მომეტებული რისკის გათვალისწინებით, ადგილზე არ აკვირდებოდნენ; ასევე საბა ბრაჭველის, ედუარდ მარიკაშვილის და სხვა სამოქალაქო აქტივისტების აქცია საქართველოს პარლამენტთან. ამ აქციების შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრმა ინფორმაცია მოიპოვა ტელერეპორტაჟებიდან და მედიის სხვა წყაროებიდან.

აქციებზე დაკვირვების გარდა, ანგარიშში გამოყენებულია საჯარო წყაროებიდან გავრცელებული ღია ინფორმაცია. ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრმა საანგარიშო პერიოდში ჩაწერა 9 ინტერვიუ აქციების ორგანიზატორებთან, რომელთა შორისაც იყვნენ პოლიტიკური პარტიების წევრები, უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები და

სამოქალაქო აქტივისტები. ასევე, მონაცემთა ანალიზისათვის, ცენტრმა ადმინისტრაციული ორგანოებიდან დამატებით გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია აქციების გამართვის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოების გაფრთხილებისა და ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვასთან დაკავშირებით.

1. აქტივისტების დაკავებები

საანგარიშო პერიოდში დაკვირვებული აქციებიდან, ბექა გრიგორიადისის და 7-9 მარტის აქციებზე ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული წესით დაკავებებს.[3] გარდა ამ შემთხვევისა, საყურადღებოა საბა ბრაჭველის, ედუარდ მარიკაშვილისა და სხვა უფლებადამცველების ადმინისტრაციული წესით დაკავებისას იდენტიფიცირებული დარღვევებიც.[4] კერძოდ, 2023 წლის 2 ივნისს გამართულ აქციაზე პოლიციამ დააკავა რამდენიმე აქტივისტი, რომელთა ნაწილს ხელში ეკავათ ცარიელი ფურცლები, ხოლო ზოგიერთს ფურცლები სხვადასხვა შინაარსის წარწერით, ასევე - საპროტესტო ბანერები. აღსანიშნავია, რომ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი დააკვირდა საბა ბრაჭველის, ედუარდ მარიკაშვილის, ნიკა რომანაძის, ნოდარ სიხარულიძის და გრიგოლ ფრანგიშვილის საქმეს, რომლებიც თბილისის საქალაქო სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო.[5]

ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციის დაკვირვებისას გამოიკვეთა პოლიციის მხრიდან აქტივისტების დაკავებისას საქართველოს

---

[3] იხ. 7-8 მარტის საპროტესტო აქციებზე განვითარებული მოვლენების შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 9 მარტი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/4xkkka [16.12.2023];

[4] პრობლემების ჯაჭვი ცარიელ ფურცლებს მიღმა, news.on.ge, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/t8onae [09.12.2023].

[5] ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორის ანგარიში: 27.09.2023. მოსამართლე ნინო შჩერბაკოვის მიერ 2023 წლის 27 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილებით, მარიკაშვილის, ბრაჭველის, რომანაძისა და ფრანგიშვილის მიმართ 173 მუხლის პირველ ნაწილში (პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა და პოლიციის შეურაცხყოფა) შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო. 166-ე მუხლის პირველ ნაწილში ოთხივე მათგანი სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი. სახდელის სახედ და ზომად განესაზღვრათ ჯარიმა 500-500 ლარის იდენობით. სიხარულიძე სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი 166-ე მუხლის პირველი და 173-ე მუხლის პირველი ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის და სახდელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 2.000 ლარის ოდენობით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროცედურული ნორმების დარღვევისა და უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების შემთხვევები.[6] ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების შეფასებით, „სამართალდამცველების ქმედებებით დაირღვა ბექა გრიგორიადისისა და მისი მხარდამჭერი აქტივისტის - ბეჟან წვიმიტიძის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება.“[7]

საქართველოს პარლამენტის მიმდებარედ, ოლივერ და მარჯორი უორდროპების სკვერში 2023 წლის 1 ივნისს ბექა გრიგორიადისი მაშინ დააკავეს, როდესაც იგი ცდილობდა კარვის გაშლას. მანამდე მან და მისმა მხარდამჭერებმა იქვე შეკრებილ პოლიციელებს აცნობეს, რომ აპირებდნენ კარვის გაშლას და თუ პოლიციას განზრახული ჰქონდა, არ მიეცათ მათთვის კარვის გაშლის შესაძლებლობა, გაეკეთებინათ შესაბამისი გაფრთხილება. მსგავსი მოწოდების არარსებობის პირობებში, ბექა გრიგორიადისი კარვის გაშლისას ადგილზე დააკავეს.[8] პოლიციელებს მისთვის არ განუმარტავთ ნივთის ჩამორთმევის და შემდეგში უკან დაბრუნების პროცედურა.[9] იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა სკვერში კარვის განთავსების აკრძალვის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი ნორმა, არ არსებობს ლეგიტიმური საფუძველი კარვის განთავსებისთვის პირის ადმინისტრაციული წესით დაკავებისთვის. პროტესტის გამოსახატად „ადგილმდებარეობის შერჩევა შეკრების უფლების ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაწილია“[10]. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, იმ შემთხვევაში, თუკი ერთი პირის სოლო დემონსტრაციით ხელი არ ეშლება არც ტრანსპორტის მოძრაობას ან ადმინისტრაციული ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას, მის წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესის წარმოებით

---

[6] მონიტორინგის ანგარიში ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 13 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/xlui5o [16.12.2023].

[7] იქვე.

[8] მონიტორინგის მოკლე ანგარიში შეკრების თავისუფლებით სარგებლობის მიზნით საჯარო სივრცეში კარვის განთავსების ხელშეშლის პრაქტიკასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 30 ნოემბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/qwhi4i [16.12.2023].

[9] მონიტორინგის ანგარიში ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 13 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/xlui5o [16.12.2023].

[10] გზამკვლევი აქციის მონაწილეებისა და ორგანიზატორებისთვის, IPHR, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2023, 7.

ირღვევა გამოხატვის თავისუფლება.[11] „უკანონო დაკავებები, თუნდაც ეს იყოს ხანმოკლე, პირდაპირ გავლენას ახდენს აქციის მონაწილეთა შეკრების და გამოხატვის თავისუფლებაზე“[12].

მანამდე, 29 მაისს, იგივე აქციაზე დააკავეს აქტივისტი ბეჟან წვიმიტიძე, როცა ის მობილური ტელეფონით იღებდა აქციაზე განვითარებულ მოვლენებს. დაკავების შემდეგ, რამდენიმე საათის მანძილზე უცნობი იყო მისი ადგილსამყოფელი და მას არ მიეცა ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობა.[13] „ღამის 2 საათისთვის, იგი გადაიყვანეს დუშეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში, რომელიც თბილისიდან დაახლოებით 50 კილომეტრშია.“[14]

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული დაკავების დროს დამკავებელი მოხელე ვალდებულია დაკავებულს დაკავებისთანავე გასაგები ფორმით განუმარტოს: ა) მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დაკავების საფუძველი; ბ) რომ აქვს უფლება ადვოკატზე; გ) რომ აქვს უფლება, მისი სურვილის შემთხვევაში, მისი დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი ეცნობოს მის მიერ დასახელებულ ახლობელს.[15]

ბეჟან წვიმიტიძეს, „დაკავებისას არ განუმარტეს დაკავების საფუძველი და არ მისცეს ოჯახთან ანდა ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობა.“[16] კითხვები არსებობდა მისი დუშეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანის საჭიროების შესახებ, მაშინ როდესაც კანონი ადმინისტრაციული წესით დამკავებელ მოხელეს ავალდებულებს, დაკავებული გადაიყვანოს უახლოეს დაწესებულებაში.[17] რაც შეეხება სამოქალაქო აქტივისტების

---

[11] *Glukhin v. Russia*, no. 11519/20, 4 July 2023, § 88.

[12] Guindelines on Freedom of Peaceful Assembly (3rd edition), CDL-AD(2019)017rev, Study n° 769/2014, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), Strasbourg / Warsaw, 15 July 2020, 82-83.

[13] მონიტორინგის ანგარიში ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 13 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/xlui5o [16.12.2023].

[14] იქვე.

[15] საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი, 245-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[16] მონიტორინგის ანგარიში ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 13 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/xlui5o [16.12.2023].

[17] იხ. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი, 245-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

დაკავების შემთხვევას, ცარიელი ფურცლების და სხვა ბანერების ხელში დაჭერის გამო, პოლიციამ დააკავა აქციის 7 მონაწილე (ე.წ. ცარიელი ფურცლების საქმე), მათ შორის იყვნენ უფლებადამცველები, რომლებიც საქართველოს პარლამენტთან მართავდნენ აქციას და ხელისუფლებას მოუწოდებდნენ დაეცვათ მშვიდობიანი შეკრების უფლება.[18] ამ შემთხვევაშიც, პოლიციამ დაკავებულებს არ განუმარტა დაკავების საფუძველი და საპროცესო უფლებები. „მეტიც, დაკავებიდან რამდენიმე საათის განმავლობაში დაკავებულთა ადვოკატებს არ ეცნობათ მათი კლიენტების ადგილსამყოფელი და არ მიეცათ დაკავებულთა მონახულების შესაძლებლობა.“[19] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შეფასებით, „ცარიელი ფურცლების საქმეში“ აშკარა იყო მათი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დარღვევა.[20]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფოს აქვს ნეგატიური ვალდებულება, ლეგიტიმური, კანონიერი საფუძვლის გარეშე არ ჩაერიოს შეკრების თავისუფლებაში და არ დაუშვას ამ უფლების არაპროპორციული შეზღუდვა. შესაბამისად, პოლიციამ აქციის მონაწილის დაკავების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც არსებობს კანონდარღვევის (მაგალითად, ძალადობრივი ქცევის) აღკვეთის აუცილებლობა.[21]

2. პოლიციელთა არაპროპორციული რაოდენობა

აქციებზე არაპროპორციული რაოდენობით პოლიციელთა მობილიზება მონიტორინგისას ერთ-ერთ ტენდენციად გამოიკვეთა. ზოგიერთ შეკრებაზე, აქციების ფასილიტაციისას, აქციის მონაწილეებთან შედარებით, ჩართული იყო იმაზე ბევრად მეტი პოლიციელი, ვიდრე აქციის შინაარსის, ხასიათისა და მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, საკმარისი იქნებოდა საჯარო წესრიგის უზრუნველსაყოფად. მეორე მხრივ, დაკვირვებული აქციების

---

[18] საქართველო: დასრულდეს უსამართლო დევნა და დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლება, The Observatory for the Protection of Human Rights Defenders, Norwegian Helsinki Committee, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 22.06.2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/268z7v [10.12.2023].

[19] იქვე.

[20] იხ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ვეხმიანებით უფლებადამცველების დაკავების ფაქტებს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 3 ივნისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/hayzzj [16.12.2023].
Guindelines on Freedom of Peaceful Assembly (3rd edition), CDL-AD(2019)017rev, Study n° 769/2014, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Osce Office for Democratic Institutions And Human Rights (OSCE/ODIHR), Strasbourg / Warsaw, 15 July 2020, 85.

ნაწილში, პირიქით, პოლიციელთა ის რაოდენობა არ იყო მობილიზებული, რომ საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილიყო აქციის მშვიდობიანად ჩატარება. ამასთან, ზოგიერთ აქციაზე პოლიციელთა პროპორციული რაოდენობის მობილიზების პრობლემა არ ყოფილა, მაგალითად - ირაკლი ბებუას მხარდამჭერ აქციაზე, სადაც მონიტორინგის ანგარიშის თანახმად, პოლიცია პროპორციული რაოდენობით იყო წარმოდგენილი.[22] იგივე შეიძლება ითქვას რუსთაველის გამზირზე გამართულ აქციაზე - „ერთად ევროპაში“[23].

აქციის მშვიდობიანად ჩატარების უზრუნველყოფაში გადამწყვეტი როლი აქვს პოლიციას, რომელმაც მისი დაგეგმვის, მომზადებისა და ჩატარების ფასილიტაციის პროცესში უნდა იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული მიდგომით.[24] პოლიციის მხრიდან ამ ფუნქციის ეფექტურად შესასრულებლად, მნიშვნელოვანია, აქციაზე პოლიციის იმდენი თანამშრომელი იყოს წარმოდგენილი, რომ შესაძლებელი გახდეს, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი წესრიგის სრულყოფილად დაცვა და მეორე მხრივ, აქციაში მონაწილე პირების უსაფრთხოების გარანტირება.[25] ამასთან, სამართალდამცავების მხრიდან საჭიროა სიფრთხილის გამოჩენაც, რადგან „პოლიციელთა არაპროპორციულმა და გადაჭარბებულმა ჩარევამ, დაძაბულობის შემცირების ნაცვლად, შესაძლოა, პირიქით - შექმნას კონფრონტაციული სიტუაცია და, შესაძლო კონფლიქტის დეესკალაციის ნაცვლად, გამოიწვიოს მისი გამძაფრება.“[26] ეს გამომდინარეობს იქედან, როცა „კონკრეტულ ადგილზე პოლიციელთა დიდი რაოდენობა შესაძლოა

---

[22] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 24.10.2023.

[23] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 09.04.2023.

[24] Guindelines On Freedom Of Peaceful Assembly (3rd EDITION), CDL-AD(2019)017rev, Study n° 769/2014, European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Osce Office For Democratic Institutions And Human Rights (Osce/Odihr), Strasbourg / Warsaw, 15 July 2020, 11.

[25] Policing Assemblies, Amnesty International Dutch Section, Police and Human Rights Program – Short paper series No. 1, 2013, 5.

[26] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Report on Monitoring of Freedom of Peaceful
Assembly in Selected OSCE Participating States (May 2011 – June 2012), 9 November 2012, para. 201, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/smw90 [20.12.2023].

ორგანიზატორს აღუძრავდეს შიშს, რომ აქციის მონაწილეები ამას აღიქვამენ დაპირისპირების მდგომარეობად.“[27]

ბექა გრიგორიადისის აქციაზე, 3 ივნისს, ღამის 1:30 საათისკენ, პოლიციელთა რაოდენობა 3-ჯერ აღემატებოდა აქციაზე მყოფი მონაწილეების რაოდენობას.[28] 29, 30 მაისის და 1 ივნისის აქციებში მონაწილეობდა 15-მდე მონაწილე, ადგილზე კი, დაახლოებით, 60-მდე პოლიციელი იყო მობილიზებული.[29] იგივე ტენდენციას ჰქონდა ადგილი 31 ივლისს პარლამენტთან სამოქალაქო ორგანიზაციების აქციაზე - ,,რუსეთი მტერია და არა სტუმარი!“[30] ამის საპირისპიროდ, გია გაჩეჩილაძის (,,უცნობი“) და ზაზა პაპუაშვილის ორგანიზებულ აქციაზე - ,,მოვდივარ - საქართველო უპირველეს ყოვლისა“, იმყოფებოდა 11 000-მდე მოქალაქე,[31] მაშინ როდესაც ადგილზე 100-მდე პოლიციის თანამშრომელი იყო მობილიზებული.[32]

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, პოლიციელთა არასათანადო რაოდენობის მობილიზების პრობლემა გამოიკვეთა 2023 წლის 8 ივლისს, „პრაიდ ფესტივალის“ მიმდინარეობისასაც,[33] რომელიც ჩაიშალა მისი გამართვისას მოსალოდნელი რისკების არასათანადოდ შეფასების შედეგად. ამ ღონისძიების დაგეგმვის შემდეგ მალევე დაანონსდა ულტრამემარჯვენე ჯგუფების კონტრდემონსტრაცია.[34] მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ

---

[27] European Commission for Democracy through Law (Venice Commission)/ OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Guidelines On Freedom Of Peaceful Assembly, 2 nd edition, Strasbourg-Warsaw, 9 July 2010, Study no. 581/2010, para. 187, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/c0bbf [20.12.2023].

[28] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 03.06.2023

[29] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 29.05.2023; 30.05.2023; 01.06.2023.

[30] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 31.07.2023.

[31] იხ. რამდენი ადამიანი ესწრებოდა ,,უცნობის“ აქციას რესპუბლიკის მოედანზე, მითების დეტექტორი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/gjrex [10.12.2023].

[32] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 30.04.2023.

[33] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მოკლე ანგარიში აქციებზე მობილიზებული პოლიციელების რაოდენობისა და არაიდენტიფიცირებული პოლიციელების შესახებ, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 27 სექტემბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/lhhko0 [16.12.2023]; ჩაშლილი პრაიდის ქრონოლოგია, რომელიც პოლიციამ მოძალადეებისგან არ/ვერ დაიცვა, ნეტგაზეთი, 8 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ntzsu [10.12.2023].

[34] ,,პრაიდ ფესტივალის“ მოწინააღმდეგეებმა მსვლელობა დაიწყეს, რადიო თავისუფლება, 8 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/pw9lx [10.12.2023].

პლატფორმების მეშვეობით დაორგანიზებული კონტრაქციისა და მოსალოდნელი ძალადობრივი ქმედებების შესახებ ინფორმაცია ღია წყაროებში იყო ხელმისაწვდომი,[35] ,,სახელმწიფომ ვერ შეასრულა პოზიტიური ვალდებულება და პრაიდ ფესტივალის მონაწილეები ვერ დაიცვა კონტრდემონსტრანტების აგრესიული ქმედებებისგან.“[36]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სახელმწიფომ სათანადოდ უნდა შეაფასოს მოწყვლადი ჯგუფების მიერ ორგანიზებული აქციის გამართვისას მოსალოდნელი რისკები, როდესაც ასეთი შეკრების გამართვის შესახებ მათ აქვთ ან უნდა ჰქონოდათ ინფორმაცია.[37]

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პოლიცია პრევენციული ფუნქციების შესრულების ნაწილში უზრუნველყოფს შეკრებების, მანიფესტაციებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვას.[38] „სახელმწიფომ უნდა მიიღოს გონივრული და შესაბამისი ზომები შეკრების მშვიდობიანად ჩასატარებლად.“[39] ეს გულისხმობს იმას, რომ თუკი აქციაზე მოსალოდნელია ძალადობრივი ქმედებები, მისი მიმდინარეობისას იმდენი პოლიციელი უნდა იყოს მობილიზებული, რამდენიც შეძლებს ძალადობის გამოვლინების აღკვეთას და პირიქით - თუკი ასეთი საფრთხე არ არსებობს, საჭიროა, აქციაზე იმყოფებოდეს სიტუაციის შესაბამისი საპოლიციო ძალები.[40] ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პოლიციამ სიტუაციის შესაბამისად უნდა იმოქმედოს როგორც მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, ისე აქციის მონაწილეთა ფიზიკური უსაფრთხოების

---

[35] შსს სიძულვილის ჯგუფების მიმართ კვლავ შემწყნარებელია - სამოქალაქო ორგანიზაციები, ნეტგაზეთი, 8 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/bsu48 [10.12.2023].

[36] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მოკლე ანგარიში აქციებზე მობილიზებული პოლიციელების რაოდენობისა და არაიდენტიფიცირებული პოლიციელების შესახებ, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 27 სექტემბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/xlomg7 [16.12.2023].

[37] *Identoba and Others v. Georgia*, no. 73235/12, §72, 12 May 2015; იხ. ასევე: OSCE/ODIHR, Human Rights Handbook on Policing Assemblies, 2016, გვ. 16, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/8ccdt [20.12.2023].

[38] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი.

[39] *Plattform ,,Ärztefür Das Leben“ v. Austria,* no. 10126/82, 21 June 1988, §34.

[40] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მოკლე ანგარიში აქციებზე მობილიზებული პოლიციელების რაოდენობისა და არაიდენტიფიცირებული პოლიციელების შესახებ, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 27 სექტემბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/lhhko0 [16.12.2023].

დასაცავად, შესაბამისად, ეს ეხება აქციაზე პოლიციელთა პროპორციული რაოდენობის მობილიზებას.[41] „საუკეთესო პრაქტიკა მიუთითებს, რომ, ჩვეულებისამებრ, პოლიციელთა ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა საჯარო წესრიგის დასაცავად, უნდა განისაზღვროს ერთობლივად სამართალდამცავი ორგანოებისა და აქციის ორგანიზატორების მიერ“[42]. მსგავსი თანამშრომლობა ხელს უწყობს აქციის მონაწილეებსა და პოლიციას შორის ნდობის განმტკიცებისა და შესაძლო დაძაბულობის შემცირებას.[43]

3. არაიდენტიფიცირებული პოლიციელები

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში დაკვირვებულ აქციებზე, უმეტეს შემთხვევაში, ფორმიან პოლიციელებთან ერთად, წარმოდგენილი იყვნენ პოლიციის უფორმო თანამშრომლები, რომელთა იდენტიფიცირება ძნელი ან შეუძლებელი იყო.[44] მათ კავშირი ჰქონდათ ფორმიან პოლიციელებთან[45] და იმყოფებოდნენ აქციის მიმდებარედ.[46] ამასთან, არ ატარებდნენ რაიმე განმასხვავებელ ნიშანს, რაც შესაძლებელს გახდიდა მათ იდენტიფიცირებას და პოლიციის თანამშრომლებად აღქმას. თუმცა, ადამიანის უფლებათა ცენტრის რესპონდენტების აზრით, „ასეთი პოლიციელების ამოცნობა მარტივია, რადგან გამოირჩევიან აქტიურობით, იწერენ აქციის მონაწილეთა საუბრებს, იღებენ ფოტოებს.“[47]

---

[41] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Handbook on Monitoring Freedom of Peaceful Assembly, Warsaw, 2011, p. 24.

[42] European Commission for Democracy through Law (Venice Commission)/ OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Guidelines On Freedom Of Peaceful Assembly, 2 nd edition, Strasbourg-Warsaw, 9 July 2010, Study no. 581/2010, para. 187, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/c0bbf [12.12.2023].

[43] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Monitoring of Freedom of Peaceful Assembly in Selected OSCE Participating States (May 2017–June 2018), Warsaw, 19 September 2019, para. 289, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ppi0u [19.12.2023].

[44] გამონაკლისი იყო ეროვნულ ბანკთან გამართული აქცია, იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 20.09.2023.

[45] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 03.06.2023; ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 29.05.2023; 30.05.2023; 01.06.2023.

[46] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის აქციის მონიტორინგის ანგარიში: 07.1.2023.

[47] ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერვიუ პოლიტიკურ პარტია „ლელოს“ წარმომადგენლებთან, 16.11.2023.

უფორმო პოლიციელებთან ერთად, აქციებზე შეინიშნება „შკოდას“ ტიპის არაიდენტიფიცირებული, დაბურულმინიანი ავტომობილები,[48] რომლებშიც ასევე იმყოფებოდნენ პოლიციელები ფორმის გარეშე.[49]

შინაგან საქმეთა მინისტრის N1310 ბრძანების თანახმად,[50] „განაწესში ჩართულ პატრულ-პოლიციელს უნდა ეცვას სამწყობრო დანაყოფის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული (სეზონის მიხედვით) კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ტანსაცმელი, ეკეთოს სამკერდე ნიშანი“,[51] ასევე, ქვეითად პატრულირებისას, რომელიც ხორციელდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, პოლიციელი უნდა ატარებდეს ფორმას.[52]

საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, აქციების ფასილიტაციის პროცესში მონაწილე პოლიციის ეკიპაჟებს აუცილებელია ეცვათ ფორმა ან შესაძლებელი უნდა იყოს მათი იდენტიფიცირება.[53] „საჭიროა სამართალდამცავი ორგანოების თითოეული წარმომადგენელი ცხადად და ინდივიდუალურად იდენტიფიცირებადი იყოს.“[54] ეს მოთხოვნა ვრცელდება პოლიციის ყველა იმ თანამშრომელზე, ვინც ჩართულია შეკრების მშვიდობიანად ჩატარების ფასილიტაციის პროცესში,[55] შესაბამისად, თუკი პოლიციის უფლებამოსილი პირი აქციის მიმდებარედ წესრიგს იცავს და ხელს უწყობს აქციის კონსტრუქციულად ჩატარებას, მას უნდა ეცვას შესაბამისი ფორმა ან შესაძლებელი უნდა იყოს მისი ნათლად იდენტიფიცირება.

პოლიციელისათვის აღნიშნული ვალდებულების დაწესება უზრუნველყოფს პოლიციის თანამშრომლებში პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების განმტკიცებას. იმის გათვალისწინებით, რომ ისინი

---

[48] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის აქციის მონიტორინგის ანგარიში: 24.10.2023; ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის აქციის მონიტორინგის ანგარიში: 28.05.2023.

[49] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის აქციის მონიტორინგის ანგარიში: 24.02.2023;

[50] ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ” ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის N1310 ბრძანება.

[51] იქვე, მე-12 მუხლის პირველი პუნქტი.

[52] იქვე, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი.

[53] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, 2nd edition, Warsaw, 2010, p. 78, §153.

[54] იქვე.

[55] European Commission For Democracy Through Law (Venice Commission)/OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, CDL (2008)062, 4 June 2008, p. 35.

აქციის მონაწილეთა ყურადღების ქვეშ იმყოფებიან, უფლებამოსილების გადამატების ან კანონის სხვაგვარად დარღვევის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება მათი პასუხისგებაში მიცემა.[56]

ამდენად, „პოლიციელთა ეფექტური ანგარიშვალდებულების გასაძლიერებლად, საზოგადოებისათვის პოლიციის თანამშრომლები ყოველთვის უნდა იყვნენ ადვილად იდენტიფიცირებადები, რისთვისაც ისინი უნდა ატარებდნენ შესაბამის ფორმებს ან სხვა მიმანიშნებელ ნიშანს"[57]. შეკრებისა და მანიფესტაციის ფასილიტაციის პროცესში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ფორმიანი და იდენტიფიცირებადი პოლიციელების მონაწილეობა.

4. საპროტესტო კარვის გაშლის ხელშეშლის პრაქტიკა

28 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აკვირდებოდნენ ლაზარე გრიგორიადისის მამის, ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციას, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს პარლამენტის მიმდებარე სკვერში.[58] აქციის მიმდინარეობისას, ბექა გრიგორიადისი ცდილობდა სკვერში კარვის გაშლას. 28 მაისს სამართალდამცველები მას არ მისცეს ამის შესაძლებლობა. ბექა გრიგორიადისმა ვერც მომდევნო დღეებში მოახერხა კარვის გაშლა, მეტიც - „პოლიციელებმა მას კარავი რამდენჯერმე ჩამოართვეს და არც კი განუმარტეს ქონების ჩამორთმევის და მისი უკან დაბრუნების ანდა კონფისკაციის პროცედურა, შესაბამისი ოქმის შედგენით."[59]

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, კარვის გაშლის უფლების ხელშეშლისას, რომელიც გამოხატვის თავისუფლების შემადგენელი

---

[56] *Boyle M., Vullierme J.,* A Brief Introduction to Policing Public Gatherings: A guide for Practitioners, Council of Europe, 2021, p. 39.

[57] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მოკლე ანგარიში აქციებზე მობილიზებული პოლიციელების რაოდენობისა და არაიდენტიფიცირებული პოლიციელების შესახებ, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 27 სექტემბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/lhhko0 [16.12.2023].

[58] ადამიანის უფლებათა ცენტრი, მონიტორინგის ანგარიში ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, 13 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/fsuAN [19.12.2023].

[59] მონიტორინგის მოკლე ანგარიში შეკრების თავისუფლებით სარგებლობის მიზნით საჯარო სივრცეში კარვის განთავსების ხელშეშლის პრაქტიკასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 30 ნოემბერი 2023, https://rb.gy/r0sa4w [17.12.2023].

ნაწილია,[60] პოლიციის მხრიდან დაირღვა კანონის მოთხოვნა, მათ შორის, დაირღვა პროცედურული ნორმები, რამაც განაპირობა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.[61]

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ამ უფლების შეზღუდვისთვის კანონმდებლის მიერ დადგენილია კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი - „ხელისუფლებას შეუძლია შეკრების შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.“[62] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „შეკრების შეწყვეტის უფლებამოსილება წარმოიშობა მაშინ, როდესაც: 1) დარღვეულია „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 11^1 მუხლი მთლიანობაში; 2) დარღვეულია ამ მუხლით (მუხლის ერთ-ერთი პუნქტით) დადგენილი მოთხოვნა“.[63]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, გამოხატვის თავისუფლების შემადგენელი ნაწილია კარვის გაშლა, თუკი ის ემსახურება პოლიტიკური აზრის გამოხატვას.[64] ამ უფლების შეზღუდვისთვის დაწესებულ შეზღუდვას უნდა ჰქონდეს კანონიერი საფუძველი და ემსახურებოდეს ერთი ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევას (მაგალითად - ეროვნული უსაფრთხოება, საზოგადოებრივი წესრიგი, სხვათა უფლებები და სხვ.) და შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი და პროპორციული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.[65]

---

[60] European Commission for Democracy through Law (Venice Commission)/ OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, Strasbourg / Warsaw, 15 July 2020 Study n° 769/2014 CDL- AD(2019)017rev., 3 rd edition, para. 148.

[61] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრი, მონიტორინგის ანგარიში ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, 13 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/fsuAN [17.12.2023].

[62] საქართველოს კონსტიტუცია, 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[63] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები _ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-46.

[64] *Frumkin v. Russia*, no. 74568/12, § 107, 5 January 2016.

[65] Guindelines On Freedom Of Peaceful Assembly (3rd edition), CDL-AD(2019)017rev, Study n° 769/2014, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), Strasbourg / Warsaw, 15 July 2020, 11.

საქართველოს კანონმდებლობა, პროტესტის გამოხატვის მიზნით, კარვის გაშლის აკრძალვას არ ადგენს. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „დაუშვებელია ტრანსპორტის სავალი ნაწილის ავტომანქანებით, სხვადასხვა კონსტრუქციებით ან/და საგნებით გადაკეტვა.“[66] ცხადია, პროტესტის გამოხატვით არ უნდა დაირღვეს სხვათა კონსტიტუციური უფლებები, ან საფრთხე შეექმნას ადმინისტრაციული ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას ან ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებას. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ კარვის გაშლით არ შეფერხდება ტრანსპორტის მოძრაობა ან ეს არ გამოიწვევს ადმინისტრაციული შენობების ბლოკირებას, დაუშვებელია, აიკრძალოს კარვის გაშლა.[67] დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ კრძალავს სკვერში კარვის გაშლას, რომელიც ადმინისტრაციული შენობიდან 20 მეტრის დაშორებით მდებარეობს.

2023 წლის 5 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში ცვლილება.[68] ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, „ამ ცვლილებების მიზანია შეკრებებისა და დემონსტრაციების დროს დროებითი ნაგებობების, მათ შორის, პროტესტის გამოხატვის მიზნით კარვების გამოყენების - აკრძალვა.“[69] კანონმდებლობაში გასატარებელმა ცვლილებებმა სახალხო დამცველისა[70] და სამოქალაქო საზოგადოების პროტესტი გამოიწვია[71], პრეზიდენტმა კი მას ვეტო დაადო.[72] ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) დემოკრატიული ინსტიტუტებისა

---

[66] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11[1] მუხლის მე-4 ნაწილი.

[67] ადამიანის უფლებათა ცენტრი, მონიტორინგის ანგარიში ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, 13 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/fsuAN [17.12.2023].

[68] იხ. მონიტორინგის მოკლე ანგარიში შეკრების თავისუფლებით სარგებლობის მიზნით საჯარო სივრცეში კარვის განთავსების ხელშეშლის პრაქტიკასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 30 ნოემბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/qwhi4i [16.12.2023].

[69] იქვე.

[70] სახალხო დამცველის განცხადება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით, 4 ოქტომბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/npic0p [19.12.2023].

[71] პარლამენტმა დაამტკიცა კანონპროექტი, რომლითაც აქციებზე "დროებითი კონსტრუქციები" იზღუდება, რადიო თავისუფლება, 5 ოქტომბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/o6959q [19.12.2023].

[72] პრეზიდენტმა ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს ვეტო დაადო, ინტერპრესნიუსი, 17 ოქტომბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/rjilzg [17.12.2023].

და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) შეფასებით, საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი არ არის თავსებადი შეკრების თავისუფლების დაცვის საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებთან.[73] ამასთან, კანონპროექტით დაწესებული შეზღუდვა ვერ აკმაყოფილებს აუცილებლობის, პროპორციულობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნას, დროებითი კონსტრუქციის აღმართვისთვის დაწესებული 15-დღიან ადმინისტრაციულ პატიმრობას მსუსხავი ეფექტი აქვს შეკრების თავისუფლების დაუბრკოლებლად სარგებლობაზე.[74]

5. აქციის სპეციალური საშუალებებით დაშლა

აქციების მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში, სხვა საკითხთან ერთად, კვლევის საგანი იყო აქციის სპეციალური საშუალებებით დაშლის მიზანშეწონილობისა და კანონიერების შეფასება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 7-9 მარტს პარლამენტის წინ გამართულ აქციებზე. ამ აქციებზე დაკვირვებით გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პრობლემა, მათ შორის:

1. აქციის დაშლისას დაირღვა სპეციალური საშუალებების გამოყენების წესი;
2. მომიტინგეთა მიმართ პოლიციამ არაპროპორციული ძალა გამოიყენა;
3. სპეციალური საშუალებებით აქციის დაშლისას დაირღვა საერთაშორისო სტანდარტები.[75]

პოლიციამ აქციის მონაწილეები სპეციალური საშუალებებით რამდენჯერმე დაშალა. 7 მარტს, დაახლოებით 20:20 საათზე, ჭიჭინაძის ქუჩაზე პოლიციამ წინასწარი გაფრთხილების გარეშე გამოიყენა წიწაკის სპრეი.[76] მალევე, პოლიციამ გამოიყენა წყლის ჭავლი, შესაბამისი გაფრთხილების გაკეთების გარეშე. კითხვები არსებობდა გამოყენებული სპეციალური საშუალებების პროპორციულობისა და აუცილებლობის

[73] Urgent Opinion On Proposed Amendments To The Law Of Georgia On Assemblies And Demonstrations And To The Administrative Offences Code, OSCE/ODIHR, Warsaw, 6 November 2023, 2-4.
[74] იქვე.
[75] 7-8 მარტის საპროტესტო აქციებზე განვითარებული მოვლენების შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 9 მარტი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/eyubm9 [16.12.2023].
[76] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის აქციის მონიტორინგის ანგარიში: 07.03.2023.

შესახებ, იმ პირობებში, როცა ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების შეფასებით, 7 მარტს შეკრება მშვიდობიანად მიმდინარეობდა.[77]

სპეციალური საშუალებები გამოიყენა პოლიციამ 8-9 მარტსაც.[78] ამასთან, საჯარო წყაროებით გავრცელებულ კადრებში ჩანდა პოლიციელი, რომელიც აქციის ერთ-ერთ მონაწილეს თვალების მიმართულებით ასხურებდა წიწაკის სპრეის,[79] გამოვლინდა წიწაკის სპრეის წყლის ჭავლში შერევის შემთხვევაც.[80]

ეუთოს სტანდარტების თანახმად, წიწაკის სპრეის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ აქციის ცალკეულმონაწილეთა მოსაგერიებლად, რომლებიც ძალადობრივად მოქმედებენ, და არა განურჩევლად აქციის ყველა მონაწილის მიმართ.[81] ამასთან, აკრძალულია 1 მეტრზე ნაკლები მანძილიდან მისი გამოყენება.[82] წიწაკის სპრეისა და წყლის ჭავლის თანადროული გამოყენება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში არსებობს ადამიანის მიზანმიმართული დაზიანების საფრთხე.[83] ამდენად, სპეციალური საშუალებების გამოყენებისას უნდა მოხდეს ყველა იმ წესის დაცვა, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებულ მიდგომას ეხმიანება.[84]

სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს არაერთ მოთხოვნას.[85] ამასთან, მისი გამოყენების სახელმძღვანელო ინსტრუქციები მოცემულია ცალკე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში, რომელიც სპეციალური საშუალებების გამოყენებამდე პოლიციის უფლებამოსილ პირს

---

[77] იქვე.

[78] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის აქციის მონიტორინგის ანგარიში: 08/09.03.2023.

[79] მშვიდობიან მოქალაქეს სახეში წიწაკის სპრეი შეასხეს, ფორმულა, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/916ynu [16.12.2023].

[80] მთავარი არხი, წიწაკის სპრეი და წყლის ჭავლი - სპეცრაზმმა აქციის დაშლა დაიწყო, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/zezc9 [16.12.2023]; იხ. ასევე: რადიო თავისუფლება, საია: ცრემლსადენი სპრეის და წყლის ჭავლის პარალელურად გამოყენება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტს, 9 მარტი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/nnooc [20.12.2023].

[81] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Human Rights Handbook on Policing Assemblies, Warsaw, 2016, p. 79.

[82] Resource Book on the Use of Force and Firearms in Law Enforcement, UN Office on Drugs and Crime (UNODC) & UN Office of the High Commissioner for Human Rights (UN OHCHR), (New York: UNODC & UN OHCHR, 2017), 87, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/4th4x [19.12.2023].

[83] იქვე, 90.

[84] იხ. Guindelines On Freedom Of Peaceful Assembly (3rd EDITION), CDL-AD(2019)017rev, Study n° 769/2014, European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Osce Office For Democratic Institutions And Human Rights (Osce/Odihr), Strasbourg / Warsaw, 15 July 2020, 11.

[85] პოლიციის შესახებ საქართველოს კანონი, 33-ე მუხლი.

ავალდებულებს, წინასწარ გააფრთხილოს შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეები და მისცეს მათ გონივრული ვადა (არანაკლებ 30 წუთი) კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად.[86] იმისათვის, რათა აქციის ყველა მონაწილემ მკაფიოდ და ნათლად გაიგონოს გაფრთხილების ხმა, შესაძლებელია საჭიროც კი გახდეს, მისი სხვადასხვა ადგილიდან გაჟღერება. ამასთან, „პოლიციამ სათანადო დრო უნდა მისცეს აქციის მონაწილეებს მეორე გაფრთხილების გასათვალისწინებლად.“[87]

7 მარტს, „სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ გაფრთხილება გაჟღერდა მხოლოდ ამ საშუალებების გამოყენების შემდეგ - ისეთ ვითარებაში, როცა აქციის მონაწილეებს არ ჰქონდათ საკმარისი დრო დაშლისათვის.“[88] ეუთოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, აქციის დაშლის ლეგიტიმური მიზნის არსებობის პირობებში, აუცილებელია გაკეთდეს სათანადო გაფრთხილება.[89]

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება გამოიყენება მართლწესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ობიექტზე ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად, სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად ან შეიარაღებული დამნაშავის დასაკავებლად.“[90] 7 მარტის აქცია იმთავითვე იყო მშვიდობიანი.[91] შესაბამისად, არ არსებობდა არც ერთი კანონისმიერი მიზანი, რათა გამართლებულიყო მომიტინგეთა დაშლა,[92]

---

[86] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის No1002 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, მე-7 მუხლი.

[87] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Human Rights Handbook on Policing Assemblies, Warsaw, 2016, p. 103, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/m5t9g [17.12.2023].

[88] ადამიანის უფლებათა ცენტრის მოკლე ანგარიში პოლიციის მხრიდან სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 31 ოქტომბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/07c3eu [16.12.2023].

[89] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Guide on Law Enforcement Equipment, Most
Commonly Used in the Policing of Assemblies, 2021, p. 81.

[90] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.

[91] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 07.03.2023.

[92] ,,შეკრების შეზღუდვის ან აკრძალვის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს კანონმდებლობას, რომელიც თავსებადია საერთაშორისო სტანდარტებთან“, იხ. Guindelines On Freedom Of Peaceful Assembly (3rd EDITION), CDL-AD(2019)017rev, Study n°

ასეთ პირობებში, საერთაშორისო პრაქტიკა პირდაპირ კრძალავს მშვიდობიანი საპროტესტო აქციის მონაწილეების მიმართ წყლის ჭავლის გამოყენებას.[93] ამასთან, პოლიციამ არ გაითვალისწინა აუცილებლობის მოთხოვნაც, რომ აქცია დაშლილიყო სპეციალური საშუალებებით. მართალია, 8 მარტს, ზოგიერთი აქციის მონაწილე იქცეოდა აგრესიულად და არღვევდა კანონს, მაგრამ „ცალკეული, იზოლირებული ძალადობის შემთხვევების გამოვლინება, მთლიან აქციას არ აქცევს ავტომატურად არამშვიდობიანად, რათა შეიქმნას სამართლებრივი საფუძველი ასეთი აქციის დასაშლელად“[94]. ასეთ ვითარებაში პოლიციას აქვს ვალდებულება ძალადობრივი ჯგუფის მიმართ გამოიყენოს დიფერენცირებული მიდგომა და გაარიდოს ასეთი ჯგუფი აქციას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი პოლიცია დაიწყებს მთლიანი აქციის დაშლას, ამას შეიძლება მოჰყვეს დაპირისპირებისა და ძალადობის ესკალაცია, რასაც ადგილი ჰქონდა 8 მარტს.[95]

6. აქციის მონაწილეების უსაფრთხოება

შეკრების თავისუფლების ეფექტურად გამოყენებისათვის, სხვა საკითხთან ერთად, მნიშვნელოვანია აქციის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს მონაწილეთა როგორც ფიზიკურ, ისე ციფრულ უსაფრთხოებას.[96] „სახელმწიფოს აკისრია პასუხისმგებლობა, შექმნას ადეკვატური მექანიზმები და პროცედურები შეკრების თავისუფლების პრაქტიკაში რეალიზაციისათვის.“[97] ცხადია, იქ, სადაც არ იარსებებს დაცულობის განცდა, შესაძლებელია, ადამიანებმა გადაიფიქრონ

769/2014, European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Osce Office For Democratic Institutions And Human Rights (Osce/Odihr), Strasbourg / Warsaw, 15 July 2020, 10.

[93] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Guide on Law Enforcement Equipment, Most
Commonly Used in the Policing of Assemblies, 2021, p. 81.

[94] Human Rights Handbook on Policing Assemblies, OSCE/ODIHR, 2016, p. 103, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/m5t9g [17.12.2023].

[95] ადამიანის უფლებათა ცენტრის მოკლე ანგარიში პოლიციის მხრიდან სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 31 ოქტომბერი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/yo7gtr [10.12.2023].

[96] ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერვიუ დავით მძინარიშვილთან: 25.10.2023.

[97] Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, OSCE Offi ce for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2007, 14.

აქციაზე წასვლა და პროტესტის გამოხატვა,[98] რაც ამ თავისუფლების არსებობას აზრს დაუკარგავდა. ეს ეხება მათ შორის კონტრაქციის გამართვიდან მომდინარე საფრთხეებსა და რისკებს. სწორედ ამიტომაც, „სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება დაიცვას მშვიდობიანი შეკრების მონაწილეები ნებისმიერი პირისგან ან ჯგუფისგან (მათ შორის, პროვოკატორებისგან და კონტრდემონსტრანტებისგან), რომლებიც ცდილობენ რაიმე გზით შეაფერხონ აქციის მიმდინარეობა“[99]. მშვიდობიანი შეკრების ფასილიტაციის პროცესში აქციის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვას მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს. ამ ნაწილში, შესაბამისი ზომები უნდა მიიღონ აქციის ორგანიზატორებმაც, რომლებმაც უნდა იზრუნონ აქციის მშვიდობიანად ჩატარებაზე, რისთვისაც მაგალითად, თუკი მოსალოდნელია საფრთხეები, აქციის გამართვამდე შეტყობინება უნდა გააგზავნონ სახელმწიფო ორგანოებში, რათა თავის მხრივ, უფლებამოსილმა ორგანოებმა მინიმუმამდე დაიყვანონ მოსალოდნელი ექსცესები.[100]

აქციების მონიტორინგის მიმდინარეობისას, შესაძლებელია გამოიყოს 2 აქცია, სადაც ერთ შემთხვევაში, აქციის მონაწილეების და მათ შორის ჟურნალისტების ფიზიკური უსაფრთხოების დაცულობა დადგა კითხვის ქვეშ, ხოლო მეორე შემთხვევაში - მესამე პირების, რომლებიც აქციაში არ მონაწილეობდნენ. ამ მხრივ, გამოსაყოფია 7-9 მარტის აქციები[101] და „ალტ-ინფოს“ და „კონსერვატიული მოძრაობის“ აქცია-მსვლელობა სააკაძის მოედნიდან რუსთაველის გამზირისაკენ.[102]

7-9 მარტის აქციებზე, სპეციალური საშუალებებით დაშლისას, იმ პირების უსაფრთხოებას დაემუქრა საფრთხე, რომლებიც არ იქცეოდნენ აგრესიულად და მშვიდობიანად გამოხატავდნენ პროტესტს.[103] „სამართალდამცავები ვალდებულნი არიან, გამიჯნონ მშვიდობიანი და არამშვიდობიანი

---

[98] ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერვიუ უსაფრთხოების ექსპერტთან, დავით მძინარიშვილთან: 25.10.2023.

[99] იქვე, 29.,

[100] იხ. *Oya Ataman v. Turkey,* no. 74552/01, § 39, 5 December 2006.

[101] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 07.03.2023; ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 08/09.03.2023.

[102] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 14.03.2023.

[103] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 07.03.2023; ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 08/09.03.2023.

მონაწილეები... არ უნდა მოეპყრონ შეკრებილ ხალხს ერთგვაროვნად მონაწილეთა დაკავებისას ან (როგორც უკანასკნელი საშუალება) შეკრების ძალის გამოყენებით დაშლისას."[104] ამასთან, გამოიკვეთა პოლიციის მხრიდან ჟურნალისტებზე სავარაუდო ძალადობის ფაქტები, რაზეც „მედიის ადვოკატირების კოალიციამ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა, ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლისა და სხვა დარღვევებთან დაკავშირებით და გამოძიების დაწყებისაკენ მოუწოდა."[105] თავის მხრივ, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა განაცხადა, რომ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო.[106]

რაც შეეხება ,,კონსერვატიული მოძრაობის" აქცია-მსვლელობას, რუსთაველის გამზირზე ვითარების დაძაბვა გამოიწვია „ალტ-ინფოს" აქციის მონაწილეების მხრიდან „ჭავჭავაძის ცენტრის" დამფუძნებლის - ზაზა ბიბილაშვილის ოფისის მიმართულებით, სხვადასხვა საგნის, მათ შორის ქვის სროლამ.[107] ბიბილაშვილის განცხადებით, ოფისში შევარდნილი ქვა ერთ-ერთ თანამშრომელს ხვდებოდა, რომელიც მან ხელით მოიგერია.[108]

ასევე, ცალკე უნდა აღინიშნოს პრაიდ ფესტივალი, რომელსაც ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები უსაფრთხოების ნორმების დაუცველობისა და მომეტებული რისკის გათვალისწინებით, არ აკვირდებოდნენ და რომელიც კონტრდემონსტრანტების აგრესიული ქცევის გამო ჩაიშალა.[109] კონტრდემონსტრანტების აგრესიის გათვალისწინებით, ფესტივალის მონაწილეთა ფიზიკური უსაფრთხოება სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგა, რადგანაც ძალადობრივმა ჯგუფებმა შეძლეს პოლიციის კორდონის გარღვევა

---

[104] 7-8 მარტის საპროტესტო აქციებზე განვითარებული მოვლენების შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 9 მარტი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/eyubm9 [16.12.2023].

[105] იხ. მედიის ადვოკატირების კოალიციის 2023 წლის 13 მარტის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/25piuc [14.12.2023].

[106] იხ. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება 7-9 მარტის აქციებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების თაობაზე, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/37ujg [14.12.2023].

[107] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 14.03.2023.

[108] ზაზა ბიბილაშვილის განცხადებით, „ალტ-ინფოს" წევრებმა მათ ოფისს ქვა და სხვადასხვა საგანი ესროლეს, ინტერპრესნიუსი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/iyaaak [20.12.2023].

[109] პრაიდის ფესტივალი ჩაიშალა, ორგანიზატორები ტერიტორიას ტოვებენ, ნეტგაზეთი, 8 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/py1req [14.12.2023].

და კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე შეკრებილი მოქალაქეების დარბევა.[110]

ამდენად, გამოხატვისა და შეკრების უფლების დაცვაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამ უფლებით უსაფრთხო გარემოში სარგებლობის უზრუნველსაყოფად შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება.[111] ,,სახელმწიფოს მოვალეობაა, დაიცვას მშვიდობიანი შეკრება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც, აქციის მონაწილეები ემხრობიან არაპოპულარულ მოსაზრებებს თუ იდეებს და არსებობს ალბათობა რომ აღნიშნულმა გამოიწვიოს ძალადობრივი წინააღმდეგობა.“[112]

აქციის მონაწილეთა უსაფრთხოების და აქციის მშვიდობიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ასევე, რომ აქციის ორგანიზატორებმაც გაითავისონ პასუხისმგებლობა და თუკი სავარაუდოა, რომ ასეთი აქციის გამართვას მოჰყვება კონტრაქცია ანდა დაძაბულობის გაღვივება, ასეთ შემთხვევაში უმჯობესია, მერიას და შსს-ს მიაწოდონ ინფორმაცია გასამართი შეკრებისა და მასშტაბის შესახებ.

დასკვნა

2022 წლის 1 თებერვლიდან - 2023 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების მიერ დაკვირვებული შეკრებები და მანიფესტაციები იმართებოდა როგორც პოლიტიკური პარტიების, ისე საზოგადოებრივი მოძრაობებისა და სამოქალაქო აქტივისტების ინიციატივით. თითოეულ შეკრებას ჰქონდა თავისი მოთხოვნა და მიზანი. აქციის მონაწილეები პროტესტს გამოხატავდნენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ თუ სოციალურ მოვლენებზე. ამასთან, ძირითად შემთხვევაში ასეთი აქციები იყო სპონტანური ხასიათის[113] და აქციას ჰყავდათ ორგანიზატორები.

---

[110] „დასკვნითი ღონისძიება ჩაიშალა“ - ამბობს სახალხო დამცველი „პრაიდის ფესტივალზე“, რადიო თავისუფლება, 8 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/9ggbme [14.12.2023].

[111] იხ. სახალხო დამცველი დღეს განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება, საქართველოს სახალხო დამცველი, 8 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/k0et6i [14.12.2023].

[112] Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), 2007, 30; *Bączkowski and Others v. Poland*, 2006, para. 68.

[113] „საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულია სპონტანური შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვის შესაძლებლობა“, იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის №3/3/1635 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით ქვეყანაში დაცულია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება და მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა გამოხატონ პროტესტი, არსებობს არაერთი გამოწვევა, რომელიც მონიტორინგის ეტაპზე გამოიკვეთა და რომლებიც საჭიროებს სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან შესაბამისი ცვლილებების გატარებას. ამ მხრივ, მონიტორინგის ძირითადი მიგნებებია:

1. აქციის სპეციალური საშუალებებით დაშლისას ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევა;
2. აქციაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა უფლებების დარღვევა;
3. აქციების ფასილიტაციის პროცესში არაიდენტიფიცირებული პოლიციელების მონაწილეობა;
4. აქციებზე არაპროპორციული რაოდენობით პოლიციელების მობილიზება;
5. პროტესტის გამოხატვის მიზნით, კარვის გაშლის დაუსაბუთებელი აკრძალვა;
6. აქციის მონაწილეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები.

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების, როგორც „ინსტრუმენტული უფლების“[114] ეფექტიანი რეალიზებისათვის და მშვიდობიანი შეკრების დასაცავად, სახელმწიფოს აკისრია პასუხისმგებლობა მიიღოს ყველა რელევანტური ზომა და არ დაუშვას ადამიანის უფლებების დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი შეზღუდვა. ამ ფუნდამენტური თავისუფლების შეზღუდვისთვის უნდა არსებობდეს კანონიერი საფუძველი, ლეგიტიმური მიზანი და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს პროპორციულობისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები. იგივე, ბექა გრიგორიადისის აქციის შემთხვევაში, არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი, რომ პოლიციას შეეზღუდა სკვერში კარვის გაშლა. ასევე, უფლებადამცველების და სამოქალაქო აქტივისტების დაკავებისას მათი უფლებების დარღვევას აქვს მსუსხავი ეფექტი, რომელიც უარყოფითად აისახება შეკრების თავისუფლების ეფექტურად გამოყენებაზე

[114] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის №3/3/1635 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

და საზოგადოებრივ განწყობებზე, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

ამრიგად, შეკრების თავისუფლების რეალიზაციისას კვლავ პრობლემურია აქციის მშვიდობიანად ჩატარებისათვის შესაბამისი ზომების მიღება, პოლიციელთა პროპორციული რაოდენობის მობილიზება, აქციის სპეციალური საშუალებებით დაშლისას ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვა, აქციაზე დაკავებული პირების უფლებების სათანადოდ დაცვა.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- კანონშემოქმედებითი უფლებამოსილების განხორციელებისას თავი შეიკავოს შეკრების თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვების დაწესებისგან;
- შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღების, ანდა ასეთ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანისას გაითვალისწინოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და საერთაშორისო სტანდარტები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- ეფექტურად უზრუნველყოს ყველა მოქალაქის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების დაცვა;
- არ დაუშვას საქართველოს კონსტიტუციით დაცული შეკრების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა და მისცეს აქციის მონაწილეებს შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად განათავსონ და გამოიყენონ კარავი პროტესტის გამოსახატად;
- შეკრებისა და მანიფესტაციის ფასილიტაციის პროცესში უზრუნველყოს ფორმიანი და იდენტიფიცირებადი პოლიციელების მონაწილეობა;
- შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს უზრუნველყოს პოლიციელთა პროპორციული რაოდენობის მობილიზება;
- უზრუნველყოს მშვიდობიანი შეკრებების მონაწილეთა დაცვა კონტრდემონსტრანტებისგან;

- საპროტესტო აქციის სპეციალური საშუალებებით დაშლისას დაიცვას ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები და საერთაშორისო სტანდარტები;
- სპეციალური საშუალებების გამოყენებამდე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა გასცენ წინასწარ გაფრთხილება და აქციის მონაწილეებს მისცენ გონივრული დრო დაშლისათვის;
- უზრუნველყოს სპეციალური საშუალებების გამოყენება პროპორციული ძალის პრინციპის შესაბამისად, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებში;
- გადაამზადოს სამინისტროს თანამშრომლები სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებთ და უზრუნველყოს სპეციალური საშუალებების გამოყენება შსს-ს მინისტრის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების შესაბამისად.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს:

- უზრუნველყოს სამართალდამცველების მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტებასთან, საპროტესტო აქციის მონაწილე აქტივისტების მიმართ ჩადენილ ძალადობასთან ანდა არაპროპორციული ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული შემთხვევების დროული, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება.